გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის
2019 წლის 28 ოქტომბრის სხდომის ოქმი N90

(ამონაწერი)

2019 წლის 28 ოქტომბერი, 17:00 საათი
ქ. თბილისი, რუსთაველის N8
პარლამენტის კინოდარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე კახაბერ კუჭავა - სხდომის თავმჯდომარე; კომიტეტის წევრები: ზაზა ხუციშვილი, ენძელა მაჭავარიანი, სულხან მახათაძე, ოთარ დანელია, ირაკლი ხახუბია, გიორგი გაჩეჩილაძე, ედიშერ თოლორაია, გოგი მეშველიანი, კობა ლურსმანაშვილი, ემზარ კვიციანი, აკაკი ბობოხიძე, ზაზა კედელაშვილი, ბიძინა გეგიძე;

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილი;

კომიტეტის აპარატის უფროსი გიორგი ცხვედიანი, კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე თამარ გელდიაშვილი, კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი ნანა გოგიტიძე. წამყვანი სპეციალისტები: ელისო შანავა, მანანა მოსიძე და ფიქრია რობაქიძე.

დღის წესრიგი

4. საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტის „ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ'' განხილვა.

კენჭისყრის შედეგად კომიტეტმა გადაწყვიტა (ერთხმად):

კომიტეტი მხარს უჭერს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ წარმოდგენილი კანონის პროექტის „ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ'' ინიცირებას. საკანონმდებლო პროცედურის დაწყების მიზნით საქართველოს პარლამენტის ბიუროს წარედგინოს „ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ'' კანონის პროექტი და ეთხოვოს კანონის პროექტის პარლამენტის სხდომაზე გამარტივებული წესით განხილვის უზრუნველყოფა.

სხდომის თავმჯდომარე

კახაბერ კუჭავა